ცნების - „კორუფცია“ შინაარსთან დაკავშირებით

ზვიად ბეშკენაძე

სოციალურ მეცნიერებათა (ეკონომიკა) დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია კორუფციისა და მექრთამეობის დახასიათება, განხილულია კორუფციასთან, როგორც „დანაშაულებრივ მოვლენასთან“ დაკავშირებით მეცნიერ-თეორიკოსთა, იურისტთა შეხედულებები და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივი დოკუმენტები, გაანალიზებულია კორუფციის ცნებასთან არსებული მიდგომები, წარმოდგენილია კორუფციის ნიშნები და კლასიფიკაცია, კორუფციის ცნებასთან დაკავშირებით მეცნიერულ წრეებში, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში არსებულ მიდგომებზე დაყრდნობით გაკეთებულია ავტორისეული დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: კორუფცია, კორუფციული დანაშაული, კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, მექრთამეობა, უცხოეთის ქვეყნები

JEL: K14; K42; D73

DOI: 10.52244/c.2024.11.30

შესავალი

კორუფცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მთელს მსოფლიოში. ის სერიოზულ საფრთხეებს ქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, არღვევს ხელისუფლებისადმი ნდობას, სახელმწიფოს მართვის პრინციპებს, სოციალურ სამართლიანობას, არღვევს საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალის - კონკურენციისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმს, აფერხებს ეკონომიკის განვითარებასა და საშიშროებას უქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობასა და საზოგადოების მორალურ მდგრადობას. ამდენად, ისეთი პრობლემის შესწავლა, როგორიცაა კორუფცია საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორში, პოლიტიკაში და ა.შ. საკმაოდ აქტუალურია. საკითხის შესწავლას ვიწყებთ თვით „კორუფციის“ ცნებიდან, რამდენადაც მისი სრულყოფილი დეფინიცია არც მეცნიერულ, არც ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში არ გვაქვს.

ძირითადი ტექსტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხშირად იყენებენ სიტყვას „კორუფცია“. თუმცა აქამდე არ არსებობს კორუფციის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი აზრი ყველაზე ხშირად კორუფციაში მოიაზრებს მექრთამეობას. თავდაპირველად განვსაზღვროთ „კორუფცია“ და „მექრთამეობა“ არის თუ არა იდენტური ცნებები?

„კომერციულ საერთაშორისო ორგანიზაციებში კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“ გაეროს დეკლარაციაში ტერმინების „კორუფცია“ და „მექრთამეობის“ იდენტიფიცირება არ ხდება მაგრამ, დოკუმენტში ორივე დეფინიცია გამოიყენება თანაბარ პირობებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში „მექრთამეობა“ ფართო გაგებით აერთიანებს **2** დამოუკიდებელ, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებულ დანაშაულს - ქრთამის მიღებას და ქრთამის მიცემას. ვიწრო გაგებით „მექრთამეობა“ ნიშნავს ქრთამის მიღებას. უმეტესწილად ცნება „მექრთამეობა“ გამოიყენება ფართო გაგებით. ამასთან ქრთამი ეს არ არის ის, რაც დაპირებულია, არამედ ის რაც აღებულ იქნა. ბოლო დროს ამ ტერმინში გაერთიანდა ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, როგორიცაა ე.წ. „ატკატი“, „დაკრიშვა“, მოსყიდვა და სხვ.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ კორუფციასთან, როგორც „დანაშაულებრივ მოვლენასთან“ დაკავშირებით მეცნიერ-თეორიკოსთა, იურისტთა და საერთაშორისო ორგანიზაციების არსებულ მიდგომებს და დავრწმუნდებით, რომ „კორუფცია“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მექრთამეობა“, რამდენადაც ის სამართალდარღვევების ერთობლიობაა და მოიცავს არა მხოლოდ ქრთამის მიცემასა და აღებას.

სხვადასხვა მიმართულების (ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის და სხვ.) მეცნიერთა, ცალკეული ქვეყნების კანონშემომქმედთა თუ საერთაშორისო მხრიდან იყო კორუფციის ცნების ფორმირების მრავალი მცდელობა. მივმართოდ ზოგიერთ მათგანს. ცნების ყველაზე გავრცელებული განმარტებები მდგომარეობს შემდეგში:

კორუფცია - თანამდებობის პირების მიერ თავიანთი სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამოყენებაა პირადი სარგებლობის მიღების მიზნით, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და მორალურ წესებს;

კორუფცია - ადმინისტრაციული რესურსებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებაა, პირის მიერ მართველობითი ფუნქციის, თავისი უფლებამოსილების განმახორციელებისას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მატერიალური ან არამატერიალური ხასიათის ანგარებითი სარგებლისა და პირადი უპირატესობის მიღების მიზნით.

კორუფცია - ეს სოციალური მოვლენაა, რომელიც ანგრევს საჯარო მმართველობით აპარატს, რაც გამოიხატება ხელისუფლების რღვევაში, მუნიციპალური და სახელმწიფო

მოსამსახურეებისა და სხვა პირების მიერ, უფლებამოსილების გამიზნულად გამოყენებაში, მათ მიერ თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის შესრულებისას, ეგოისტური მიზნებით პირადი გამდიდრებისთვის ან ჯგუფური ინტერესებისთვის.

„კორუფციის“ ცნების წარმოდგენილი განმარტებებიდან გამომდინარე ტერმინი გამოიყენებულია ბიურაკრატიული აპარატისა და პოლიტიკური ელიტის მიმართ, რაც სრულად არ ასახავს მის არსს. „კორუფციის“ ცნების უკეთ გასაგებად მივმართოდ ზოგი ავტორიტეტული მეცნიერისა და ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებს მოცემულ ცნებასთან მიმართებით.

მოცემული განსაზღვრება ხსნის კორუფციის ცნების სოციალურ არსს, სოციალურ მიმართულებას. კორუფცია შეინიშნება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.

ევროპული საბჭოს ექსპერტებმა შეიმუშავეს კორუფციის საერთო განმარტება. „კორუფცია - ეს საჯარო ან კერძო სექტორში პასუხისმგებლობის მქონე პირის მექრთამეობის, მოსყიდვის და ნებისმიერი სხვა სახის ქცევაა, რომელიც არღვევს მისი საჯარო - საჯარო პირის, კერძო დაქირავებული თანამშრომელის, დამოუკიდებელი აგენტის ან სხვა მსგავსი სტატუსის მქონე პირის - სტატუსიდან გამომდინარე საკუთარ მოვალეობებს, მისთვის ან სხვა პირისთვის ნებისმიერი სახის უკანონო უპირატესობების მიღების მიზნით“ (Некоторые аспекты..., 2000).

თუ მივმართავთ სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტებს, ცხადი გახდება, რომ ასევე არ არსებობს კორუფციის განმარტებაში სამართლებრივი სიზუსტე და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა. თუმცა აღსანიშნავია ერთი მთავარი გარეომოება - უმეტესი ეროვნული თუ საერთაშორისო ანტიკორუფციული სამართლებრივი დოკუმენტი (და მათ შორის კურუფციის ცნების განმარტება) მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეგიდით. პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელიც მოიცავდა ანტიკორუფციულ ნორმებს იყო გაეროს **1979** წლის **17** დეკემბრის რეზოლუცია, რომელშიც მთავარი აქცენტი კეთდებოდა პასუხისმგებელი პირის მხრიდან მართლწესრიგის მხარდაჭერასა და კორუფციის აქტის არ ჩადენაზე და მკაფიოდ ფორმირებული არ იყო თვით „კორუფციის“ ცნება. მის დოკუმენტებში კორუფცია დაიყვანებოდა თანამდებობის პირის მოსყიდვა-მექრთამეობაზე. მოსყიდვის საგნად კი განიხილებოდა მატერიალური ნივთები და არაქონებრივი სიკეთეები. დოკუმენტის მიხედვით „კორუფციის“ ცნება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ნაციონალური კანონმდებლობებით.

გაეროს შემდგომი დოკუმენტებით კორუფციის ცნება უფრო ფართოვდება. გაეროს მე **-7** კონგრესმა (ჰავანა **1990**) გააკეთა კორუფციის ნიშნების შემდეგი შემოთავაზება:

1. საკუთარი სამსახურეობრივი მდგომარეობის კანონსაწინააღმდეგო გამოყენება კორუფციული სამართალდამრღვევის მხრიდან;

2. კორუფციული სამართალდარღვევების მრავალდარგობრივი ხასიათი (დისციპლინარული, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სამართალდარღვევა);

3. სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ კორუფციული დანაშაულის სუბიექტების წრის შეზღუდვა;

4. კორუფციის ყველაზე საშიში გამოვლინების ორ სახედ დაყოფა:

- სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების კორუფციული მიტაცება;
- სახელმწიფო მოსამსახურის მხრიდან საკუთარი სამსხურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება რაიმე უპირატესობის უკანონოდ მიღების მიზნით მიტაცების არარსებობის პირობებში.

კორუფციის პრობლემების რეგიონათაშორისო სემინარზე (ჰავანა, **1990** წ.) შემოთავაზებულია შემდეგი განმარტება: კორუფცია - ეს სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაა პირადი ან ჯგუფური სარგებლის მიღწევის მიზნით, ასევე სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით სარგებლის მიღება. აშკარაა, რომ საუბარია არა მხოლოდ მატერიალური სარგებლის მიღებაზე, რომელიც მხოლოდ მექრთამეობისათვისაა დამახასიათებელი.

1995 წელს გაეროს კორუფციასთან საერთაშორისო ბრძოლის საცნობარო დოკუმენტში ჩნდება მკაფიო ჩანაწერი, რომ „კორუფცია - ეს სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაა საკუთარი მიზნებისთვის სარგებლის მიღების მიზნით“. (Справочный документ..., 1995)

აღსანიშნავია, რომ უმეტესი (სხვა) საერთაშორისო ნორმატიული აქტებიც არ იძლევიან კორუფციის განსაზღვრებას, არამედ ჩამოთვლიან კორუფციულ ქმედებებს, რომლებიც სახელმწიფოების კანონმდებლობით უნდა იყვნენ კრიმინალიზირებული. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია გაეროს კონვენცია კორუფციის წინაარმდეგ (**2003** წ.), რომლის მიხედვით **კორუფციულ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება**: საჯარო (ნაციონალური, უცხოური, საერთაშორისო ორგანიზაციების) თანამდებობის პირების მოსყიდვა; ქონების მიტაცება, უკანონო მითვისება ან სხვა არამიზნობრივი გამოყენება საჯარო თანამდებობის პირის მიერ; გავლენის ბოროტად გამოყენება ანგარებითი მიზნებისთვის; სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; მოსყიდვა და ქონების მიტაცება კერძო სექტორში; უკანონო გამდიდრება; დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება.

კონვენცია იძლევა კორუფციული ქმედებების დეტალურ ჩამონათვალს და არ დაყავს კორუფცია თანამდებობის პირის მოსყიდვა-მექრთამეობაზე. ის სახელმწიფო და კერძო სექტორში მოღვაწე კორუფციის სუბიექტის სახით გამოყოფს მომსყიდველ მხარეს და მოსყიდულ მხარეს (პასიურ და აქტიურ მოსყიდვას).

პასიური მოსყიდვის სუბიექტს კონვენცია მიაკუთვნებს: საჯარო (ეროვნული, უცხოური და უცხოური ორგანიზაციების) თანამდებობრივ პირს; კომერციულ ორგანიზაციებში -

მომსახურე პირს და პირს რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს; იურიდიული პირს;

გაეროს ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ მიღებული რეზოლუცია (**2000** წ.) კი ჩამოთვლის შემდეგ **კორუფციულ კანონდარღვევებს**, რომლებიც მისმა წევრმა ქვეყნებმა უნდა სცნონ სისხლის სამართლის წესით დასჯადად:

საჯარო თანამდებობის პირზე დაპირება, შეთავაზება ან არაკანონიერი უპირატესობის მიცემა პირადად ან შუამავლით, თავად თანამდებობის პირისთვის ან სხვა ფიზიკური პირისთვის ან იურიდიული პირისთვის მასზედ, რომ ამ თანამდებობის პირმა განახორციელოს რაიმე სახის ქმედება ან უმექმედობა მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას;

საჯარო თანამდებობის პირის მიერ გამოძალვა ან რაიმე არაკანონიერი უპირატესობის მიღება, პირადად ან შუამავლით, ან სხვა ფიზიკური პირის საშუალებით, უშუალოდ თანამდებობის პირისთვის ან ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის მასზედ, რომ ამ თანამდებობის პირმა განახორციელოს რაიმე სახის ქმედება ან უმექმედობა მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას.

თუ შევაჯამებთ, მოცემული კონვენციის მიხედვით: სისხლის სამართლის წესით დასჯადად განიხილულ უნდა იქნას საჯარო თანამდებობის პირზე/პირის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას არაკანონიერი უპირატესობის შეთავაზება/მიღება. არ აქვს მნიშვნელობა ეს - ვისი საშუალებით (პირადად, შუამავლით თუ სხვა ფიზიკური პირის საშუალებით), ვისთვის (ამ თანამდებობის პირისთვის, სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის) და როგორ (ქმედებით თუ უმოქმედობით) განხორციელდება.

ევროპის საბჭოს დისციპლინათაშორისი ჯგუფმა კორუფციის პრობლემებზე (სტრანსბურგი, **1995** წ.) შეიმუშავა კორუფციის შემდეგი განმარტება. კორუფცია - ეს პირის მიმართ, რომელსაც აქვს უფლებამოსილებები სახელმწიფო ან კერძო სექტორში, მოსყიდვაა (ქრთამია) და ნებისმიერი სხვა ქცევაა, რომელიც არღვევს თანამდებობის პირის, კერძო სექტორში მომუშავე პირის, სხვა მსგავსი მდგომარეობის მქონე დამოუკიდებელი აგენტის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებებს და რომელიც მიზნად ისახავს არასათანადო უპირატესობის მიღებას მისთვის ან სხვა პირებისთვის. მსგავსი პოზიცია დააფიქსირა გაეროს სამდივნომ თავის სახელმძღვანელოში სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე. ის აერთიანებს ასევე **კორუფციის ცნებასაც**: 1) თანამდებობის პირების მხრიდან სახელმწიფო ქონების მიტაცება და მითვისება, 2) სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გაუმართლებელი პირადი სარგებლის (შეღავათები, უპირატესობები) მიღების მიზნით ოფიციალური სტატუსის არაოფიციალურად გამოყენების შედეგად; 3) **ინტერესთა კონფლიქტი** საზოგადოებრივ მოვალეობასა და პირად ეგოისტურ ინტერესს შორის.

როგორც მოცემული განმარტებიდან ჩანს მოხდა კორუფციის ცნების გაფართოება. ევროპის საბჭოს **1999** წლის კონვენციამ ის კიდევ უფრო „გაამდიდრა“ ახალი ფორმულირებებით,

რაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხების შემოტანით გამოიხატა. მართალია, მოცემულ კონვენციაში (ის კორუფციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახელწოდებითაა ცნობილი და ევროსაბჭოს კორუფციასთან დაკავშირებით მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტია), როგორც უმეტესი საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემთხვევაში, ვერ ვხდებით კორუფციის კანონიკურ განმარტებას, თუმცა კორუფციის არსი იხსნება მასში **კორუფციის გამოვლინების შემდეგი ფორმების ჩამოთვლითა** და განმარტებით:

ეროვნულ საჯარო თანამდებობის პირთა (ქვეყნის საჯარო მოხელეთა) აქტიური მოსყიდვა - ნებისმიერი პირის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისი რომელიმე **სახელმწიფო მოხელისთვის**, ამ სახელმწიფო მოხელის ან სხვა პირის ინტერესებისკენ მიმართული, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემა ან ამ უპირატესობის დაპირება თუ შეთავაზება, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების სესრულების ან სამსახურეობრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

ეროვნულ საჯარო თანამდებობის პირთა (ქვეყნის საჯარო მოხელეთა) პასიური მოსყიდვა - ნებისმიერი **სახელმწიფო მოხელის მიერ** განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავისთვის ან სხვისთვის, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემის მოთხოვნა ან ამ უპირატესობის მიღება, ან ასეთი უპირატესობის შეთავაზებისა თუ დაპირების მიღება, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

საჯარო თანამდებობის პირთა მსგავსად განიმარტება კერძო სექტორში აქტიური და პასიური მოსყიდვა. (კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია)

კონვენციის მიხედვით მას მიეკუთვნება ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების აქტიური და პასიური მოსყიდვა;

ამგვარად, კონვენცია იძლევა კორუფციის ვიწრო გაგებას, განმარტავს მას რა როგორც სახელმწიფო მოხელის, საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის, უცხო ქვეყნის თანამდებობრივი პირის, კომერციულ ორგანიზაციაში მმართველობით ფუნქციის განმახორციელებელი პირის მოქრთამვა-მოსყიდვას.

პრაქტიკულად ზემოთ დასახელებულ კონვენციასთან ერთდროულად ევროპული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კონვენცია კორუფციისთვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. კონვენცია კორუფციას განმარტავს შემდეგნაირად: „„კორუფცია“ ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ქრთამის ან სხვა არასათანადო უპირატესობის ან მისი დაპირების მოთხოვნას, შეთავაზებას, მიცემას ან მიღებას, რაც ხელს უშლის ქრთამის, არასათანადო უპირატესობის ან მისი დაპირების მიმღების მიერ, მისი მოვალეობის ან განსაზღვრული ქცევის სათანადო შესრულებას“. (კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია, სტრანსბურგი 4.Xiю 1999 - პრეამბულა)

მოცემულ განმარტებაში არ არის კორუფციული სამართალდარღვევის ცნება თუმცა, კონვენციიდან გამომდინარე **კორუფციის სუბიექტებად** გამოდიან საჯარო მოხელეები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის თანამშრომლები.

აღსანიშნავია, რომ მოცემული კონვენცია უფრო აკეთებს აქცენტს პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე, რომლებსაც მიადგა ზიანი კორუფციული კანონდამრღვევებიდან. ამასთან, მისი გამოყენების სფეროს სივიწროვე არ იძლევა შესაძლებლობას განხილულ იქნას, როგორც უნივერსალური განსაზღვრება და გამოსადეგი კორუფციის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტეკონომიური ასპექტების გასაგებად.

კიდევ ერთი კონვენცია, რომელიც მიღებულ იქნა კორუფციული გამოვლინებების საწინააღმდეგოთ, მხოლოდ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, წარმოადგენს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (**OAS**) კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია (**1996** წ.). მის ფარგლებში მიღებული იქნა რამოდენიმე რეკომენდაცია, რომელმაც მიიღო დადებითი გამოხმაურება გაეროს გენერალური ასსაბლეის გენერალური მდივნის მოხსენებაში (**2001** წ.).

მოცემული კონვენცია არ განსაზღვრავს კორუფციის კონტენტს, თუმცა, სხვა კონვენციების მსგავსად, განსაზღვრავს კორუფციული სამართალდარღვევების სახეებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორუფციის ცნებისა და არსის სრულყოფისთვის.

ის აკონკრეტებს და აფართოვებს **კორუფციის საგანს:** ნებისმიერი საგანი, რომელსაც აქვს ფულადი ღირებულება; მოძრავი ან უძრავი ქონება; ფულადი სახსრები; ფასიანი ქაღალდები; ქონება რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს ან დაწესებულებას, რომელშიც სახელმწიფოს აქვს გარკვეული წილი;

კონვენცია, უმეტესი საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებიდან განსხვავებით, კორუფციული სამართალდამრღვევ **სუბიექტის** სახით განიხილავს სახელმწიფო მოხელეს (და არა კომერციული ორგანიზაციაში ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელ პირს). **სამართალდარღვევებად კი განიხილება** პირის (სახელმწიფო მოხელის) მხრიდან საკუთარი ან მესამე პირისთვის სარგებლის მიღების მიზნით შემდეგი ქმედებები/უმექმედობები: გამოძალვა ან პირდაპირი ან ირიბი სარგებლის მიღება; ქმედება ან უმექმედობა; ქონების თაღლითური გამოყენება ან დამალვა; ნებისმიერი ქონების არასათანადო გამოყენება; კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება; დამოუკიდებელ დაწესებულებაზე ან კერძო პირზე მოძრავი და უძრავი ქონების, ფულის ან ფასიანი ქაღალდის გადამისამართება.

კიდევ ერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ არის მიმართული, არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციიის (**OECD**) საერთაშორისო საქმიანი მოლაპარაკებებისას უცხო ქვეყნის თანამდებობის პირთა მოსყიდვისთან ბრძოლის კონვენცია. თუმცა, მოცემული კონვენცია განსაზღვრავს კორუფციულ სამართალდარღვევებს მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეებთან მიმართებით საერთაშორისო საქმიანი მოლაპარაკებების წარმოებისას. ახალ „ელემენტს“ რასაც კონვენცია „გვთავაზობს“ ეხება **კორუფციის სახეს**,

კერძოდ ქრთამში მოიაზრება არა მხოლოდ ფულადი სახსრების მიღება, არამდე ფულადი სახსრების გადაცემის დაპირება.

გაეროს **2003** წლის კორუფციის წინააღმდეგ მიღებულ კონვენციაშიც მისი განმარტება არაა და არის მხოლოს კრიმინოგენური თვალსაზრისით ორი მიმართულების განსაზღვრა - კორუფციის თავიდან აცილების პოლიტიკისა და კორუფციული წინააღმდეგ პრევენციის პოლიტიკური ასპექტების განსაზღვა.

„საქართველოს კანონში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", კორუფციის ცნება განიმარტება საჯარო სამსახურთან მიმართებით, კერძოდ: „კორუფცია „საჯარო სამსახურში" არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა".

კორუფციის ცნებასთან დაკავშირებით მეცნიერულ წრეებში, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში არსებულ მიდგომებზე დაყრდნობით შეიძლება გამოვკვეთოთ შემდეგი **ძირითადი დასკვნები**:

1. კორუფცია მრავალმხრივია თავის გამოვლინებაში;
2. არც ეროვნულ კანონმდებლობაში, არც საერთაშორისო დოკუმენტებში კორუფციის ცნების მკაფიო ფორმულირება არაა;
3. „კორუფცია" და „მექრთამეობა" იდენტური ცნებები არაა, კორუფცია მოიცავს მექრთამეობასაც;
4. თითოეული სახელმწიფო არსებული წესებისა და ტრადიციების საფუზველზე განსაზღვრავს კორუფციის დეფინიციასა და თავისი ანტიკორუფციული ინსტრუმენტების ნაკრებს;
5. კორუფცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრდა როგორც მდგომარეობის (უფლებამოსილების) არა მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირის (მოხელის), არამედ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმღები პირის მხრიდან თავის სასიკეთოდ, პირადი ინტერესებისთვის გამოყენება.
6. კორუფციის ცნება, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, არ ეფუძნება კორუფციის სამართლებრივ განსაზღვრებას;
7. არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი და ნორმატიული აქტი არ იძლევა კორუფციიის მკაფიო განმარტებას, ისინი მთლიანობაში განსაზღვრავენ: კორუფციის სუბიექტებს, კორუფციის საგანს, კორუფციის დასჯად სამართალდარღვევებს. მიდგომები შეიძლება გაერთიანდეს შემდეგი ნიშნით:

- **კორუფციის საგანი:** ნებისმიერი საგანი, რომელსაც აქვს ფულადი ღირებულება; მოძრავი ან უძრავი ქონება; ფულადი სახსრები; ფასიანი ქაღალდები; ქონება რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს ან დაწესებულებას, რომელშიც სახელმწიფოს აქვს გარკვეული წილი;
- **კორუფციის სუბიექტები:** ეროვნული, უცხოური და უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო მოხელეები და თანამდებობრივი პირები; კომერციულ

ორგანიზაციებში - მომსახურე პირი და პირი რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს; იურიდიული პირი;

- **კორუფციული სამართალდარღვევები და კორუფციულ გამოვლინებები:** საჯარო (ნაციონალური, უცხოური, საერთაშორისო ორგანიზაციების) თანამდებობის პირების აქტიური და პასიური მოსყიდვა/მექრთამეობა (ამასთან ქრთამში მოიაზრება არა მხოლოს ფულადი სახსრების მიცემა/მიღება არამედ მასზე დაპირების გაცემა); მოსყიდვა (აქტიური და პასიური) და ქონების მიტაცება კერძო სექტორში; ქონების მიტაცება, უკანონო მითვისება ან სხვა არამიზნობრივი გამოყენება საჯარო თანამდებობის პირის მიერ; გავლენის ბოროტად გამოყენება ანგარებითი მიზნებისთვის; სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; გამოძალვა ან პირდაპირი ან ირიბი სარგებლის მიღება; ქონების თაღლითური გამოყენება ან დამალვა ან არასათანადო გამოყენება; კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება; უკანონო გამდიდრება; დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

Некоторые аспекты международно-правового сотрудничества государств – членов Совета Европы в области борьбы с коррупцией, Журнал российского права. 2000. №7;

Кайгородцев А.А., Коррупция как угроза экономической безопасности России, Журнал „ЭКОНОМИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ“, N5, 2022

https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/code_of_conduct.shtml

https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/orgcrime.shtml

https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/corruption

https://www.imf.org/external/pubs/ft/issues6/

https://www.oecd.org/en/topics/policy-issues/anti-corruption-and-integrity.html

https://home-affairs.ec.europa.eu/policies/internal-security/corruption_en

https://www.state.gov/policy-issues/anti-corruption-and-transparency/

https://giaccentre-org.translate.goog/what-is-corruption/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc

Content of the Term “Corruption“

Zviad Beshkenadze

Doctor of Social Sciences (Economics), Associate Professor, Akaki Tsereteli State University

The paper describes the characterization of corruption and bribery, discusses the views of scientists, lawyers and legal documents of international organizations regarding corruption as a "criminal event", analyzes the existing approaches to the concept of corruption, presents the signs and classification of corruption, the concept of corruption in scientific circles, international legal documents Author's conclusions are made based on the approaches.

Keywords: corruption, corruption crimes, UN Convention against Corruption, bribery, foreign countries

JEL: K14; K42; D73

DOI: 10.52244/c.2024.11.30

References

Some aspects of international legal cooperation of the member states of the Council of Europe in the field of combating corruption, Journal of Russian Law. 2000. No. 7;

Kaigorodtsev A.A., Corruption as a threat to Russia's economic security, Journal "ECONOMIC SECURITY", N5, 2022

https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/code_of_conduct.shtml

https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/orgcrime.shtml

https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/corruption

https://www.imf.org/external/pubs/ft/issues6/

https://www.oecd.org/en/topics/policy-issues/anti-corruption-and-integrity.html

https://home-affairs.ec.europa.eu/policies/internal-security/corruption_en

https://www.state.gov/policy-issues/anti-corruption-and-transparency/

https://giaccentre-org.translate.goog/what-is-corruption/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc